**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 | სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877—1891



## ზედამხედველი კომიტეტი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით აუწყებს ბ-ნთ ბანკის დამფუძნებელ და მსესხებელ წევრთ, რომ, თანხმად წესდების მე-82 §-ისა, ამა ივლისის თთვის 28 რიცხვს, დილის ათს საათზე, ბანკის სადგომში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში, დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება ბანკის წევრთა.

განსახილველი საგნები: ა) ვიშუამდგომლოთ წესისამებრ, მოგვეცეს უფლება, რომ კონვერსია დავიწყოთ 6 პროცენტიან სესხისა, და ამასთანავე მოვსპოთ ის გირავნობის ფურცლები, რომელიც დღემდე ამ ნაირად გამოცემულია და ხელში ტრიალებს და ბ) იმავე წესითვე ვიშუამდგომლოთ, რომ მოგვეცეს ნება, გამოვცეთ გირავნობის ფურცლები განაღდების ვადის აღუნიშვნელად. (3—96—2)


## კიდევ სამეგრელოს თავად-აზნაურობის შესახებ

ამ დღეებში ქუთაისის დეპუტატთა კრებამ მიიღო პეტერბურგიდამ ფიცით აღთქმა სამეგრელოს თავად-აზნაურობისა და აცნობა ეს საგანი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რომ ამ უკანასკნელმა დანიშნოს სამი წარმომადგენელი სამეგრელოს თავად-აზნაურობისა, დეპუტატთა კრების სხდომაში დასასწრებლად. ამას შემდეგ, სამეგრელოს თავად-აზნაურთა ღირსების გარჩევას ბევრი არა უდევს რა წინ. საცაა დეპუტატები დაინიშნებიან, საცაა პეტერბურგიდგანაც ჩამოვა საგანგებოდ დეპუტატთა კრებაში დამსწრეთ გამოგზავნილი მოხელე და საქმე გაჩაღდება.

ამ დღეებშივე მოუვიდა დეპუტატთა კრებას მთავარ-მართებლის კანცელიარიიდამ ყველა სიები და საბუთები სამეგრელოს ეგრეთ წოდებულის ,,კომისიებისა''. ამ ქაღალდებში არის ერთი მეტად შესანიშნავი სია, რომელსაც, საცა სამართალია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თავად-აზნაურობის ღირსების და პირადობის გარჩევის დროს. ეს არის თავად-აზნაურობის გვართა სია, ხელ-მოწერილი დავით დადიანისგან და ოჯახობრივი სია იმავე აზნაურობისა, ხელ-მოწერილი მაზრის მდივანბეგებისაგან. საქმიდგან სჩანს, რომ მთავარ-მართებელს თავ. ვარანცოვს მოუთხოვია დავით დადიანისგან მისი სამთავროს თავად-აზნაურთა სია და მთავარს ბრძანება გაუცია მაზრის მდივანბეგებისთვის, ეს სია საჩქაროდ შეედგინათ. ამ საგანზე მიწერილობა ჰქონიათ გაგზავნილი 25 აპრილს 1853 წელსა შემდეგს მდივანბეგებს: ზუგდიდისას, ზუბისას, ჯვარისას, სუჯუნისას, საჭილაოსას, მარტვილისას, ლაილაშისას და მურისას. თითონ მიწერილობა, რომლის ,,შავი'' საქმეში არის ჩაკერებული, აი რა გვარად არის შედგენილი: ,,მაზრის მდივანბეგს. კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი ვარანცოვი მთხოვს მე წარუდგინო მას ჩემის სამთავროს თავად-აზნაურთა საოჯახო სია, რომელშიაც იქნება აღნიშნული რამდენი სული—მამრი და მდედრი—არის ოჯახში და რამდენი წლოვანება აქვს თითოეულს მათგანს. ამის გამო მოგიწერ თქვენ, დაუყოვნებლად ხანისა, შეადგინოთ საოჯახო სია ყველა იმ თავად-აზნაურთა, რომელთ მოკლე სიები თქვენ უკვე წარმომიდგინეთ მე, შეადგინოთ სწორედ და მაინც-და-მაინც პირადად თქვენ და კარგად, გარკვევით გადაწერილები წარმომიდგინოთ, რაც შეიძლება ჩქარა, თვინიერ იძულებისა, როგორც ეს იყო მოკლე სიების წარმოდგენის დროს. ამასთან გეგზავნებათ ნიმუში, რომელსაც არას გზით არ უნდა გადუხდეთ''.

მაზრის მდივანბეგების სიებს ხელს აწერენ მარტო მაზრის მდივანბეგები; გვართა სიის-კი მთავარი.

აი თითონ ეს სია, უმეტ-ნაკლოთ:

,,სამეგრელოს სამთავროს თავად-აზნაურთა გვაროვნობის სია.

,,თავადნი დადიანნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არიან ჩამომავალნი სამეგრელოს სამთავროს სახლიდგან; თავადობის ღირსების საბუთი არა აქვთ.

,,სამეგრელოს სამთავრო სახლის

თავადნი:

«ახვლედიანი, აფაქიძე, ასათიანი, ანჩაბაძე (უხსოვრის დროიდგან არიან გადმოხახლებულნი საათბაზოს სამთავროდამ), აბაშიძე (უხსოვრის დროიდგან არიან მოსულნი იმერეთიდგან), გელოვანი, გარდაფხაძე, დგებუაძე, ჯაიანი, დადეშქელიანი (გადმოსახლებულნი სვანეთიდგან), მიქაძე, მხეიძე, ფალავა, ჩიქოვანი, ჩიჩუა, ჩარკვიანი და შედია.

აზნაურნი:

„ასათიანი, ავალიშვილი, ანთელავა, ახვლედიანი, ანჯაფარიძე, აფაქიძე ალშიბაია, ბოლქვაძე (დიდის ხნიდგან გადმოსახლებულნი გურიის სამთავროდგან) ბაკურაძე, ბობოხიძე, ბერიძე (არიან გადმოსახლებულნი უხსოვარის დროიდგან გურიის სამთავროიდგან), ვაჩინაძე, გოშუა, გვათუა, გვარძიკია, გობეჩია, გრიგოლია, გუგუშვილი, გუგუნავა (გადმოსახლებულნი არიან გურიის სამთავროდგან), გაბუნია, გამსახურიძე, გაგუა, გეგელია, გიგიბერია, გეგეჭკორი, გაწერელია, გიგინეიშვილი, გვალია, გურალია, გიორგობიანი, დგებუაძე, დვალიშვილი, დიდია, დარახველიძე, დევდარიანი, დაშნიანი, დათუაშვილი, ელიავა, თვალთვაძე, თოფურია, იოსელიანი, კეიდია, კორძაია, კოღოშვილი, კუხალაშვილი, კობახიძე, კერესელიძე, ლოლუა, ლიფონავა, მასხულია, მეუნარგია, მანდარია, მდივანი, ნოროკია, ნანეიშვილი, ნიკოლაიშვილი, ნემსაძე, ნარიკაძე, ნაჭყეპია, ორზოლია, პაპასკირი, რევია, რატია, საჯაია, სალაყაია, ფაოულავა, ფულაძია, ფალავა, ფიჩხაძე, ღვამიჩავა, ხვიტია, ხორავა, ხოშტარია, ხოფერია, ხაინდრავა, ხუნჯუა, ქორთუა, ქორქია, ქვარიანი, ქავთარაძე, ქურჩულორია, ქართველიშვილი, ყიფიანი, ყურაშვილი, შელია, შავდია, შალაბერია, შენგელაია, ჩიჩუა, ჩხოლარია, ჩიქვანი, ჩარკვიანი, ჩხეტია, ჩაჩიბაია, ჩახავა, ჩაჩავა, ჩიკვატია, ცხონდია, ცომაია, ცხვედიანი, ძიძიგური, ჭუბაბრია, ჭიჭინაძე, ჭალაგანიძე, ჯოლია, ჯაფარიძე, ჯინორია, წერეთელი (გადმოსახლებულნი არიან იმერეთიდგან).

,,ამ სიაში აღნიშნულნი თავადნი და აზნაურნი რომელნიმე ძველის დროიდგან და სხვანი ამ ერთის საუკუნის განმავლობაში არიან ცნობილნი მთავართაგან თავად-აზნაურობის ღირსებაში და სარგებლობენ თავად-აზნაურობის უფლებითა. არა მრავალსა მათგანს აქვს საბუთები, რადგანაც დაუკარგავთ სხვა-და-სხვა არეულობის დროს. ზოგიერთნი არიან გადმოსულნი სხვა სამთავროდგან დიდის ხნიდგან და ეკუთვნიან დღეს სამეგრელოს სამთავრო სახლს.

,,სამეგრელოს მთავარი, გენერალ-მაიორი თავ. დადიანი''.

ამ ორს საბუთში უპირატესი მნიშვნელობა უნდა ექმნეს, ჩვენის ფიქრით, მაზრის მდივანბეგების სიებს და ისიც მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობა. წარსულის წლის 17 აპრილის უმაღლესი ბრძანება, რომლის საფუძველზე უნდა გაირჩეს სამეგრელოს თავად-აზნაურთა ღირსება, მეორე მუხლის შენიშვნაში კეთილშობილთა ჩამომავლობის საბუთად სცნობს, სხვათა შორის: ჩამომავლობისას და ოჯახობით სიებს. როცა დეპუტატთა კრება დაინახავს, რომ, ვთქვათ, მაგალითად, მე, შვილი მამის ჩემისა, რომელსაც აქვს მთავრის საბუთი

---

# ფელეტონი

## საუნჯე

მეათე საუკუნისა

(დასასრული. იხ. „ივერია» № 147)

ამას გარდა ,,წერა-კითხვის საზოგადოების'' ერთ ხელ-ნაწერში (№ 427) სტეფანე ჰყონდიდელი და ეფთჳმი ერთად იხსენიებიან. ამ ხელნაწერში მოყვანილია ეფთვიმეს დაწერილი ,,კითხვა-მიგება'', წარმოგზავნილი ათონით საქართველოდ. ამ საინტერესო წერილში ვპოვებთ ცნობებს შესახებ საეკკლესიო უკანონო წიგნებისა ქართულს ენაზედ.

,,ესევე ზამთვალიელისა წიგნი არს, მოავალთა რათმე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყჳს თჳთო სახეთა, რამეთუ მრავლითა ფილასოფოსობითა დაწერილ არს იგი და წუალებანი მრავალნი ჩაურთავნ მასვე და ამისათჳს არა შეიწყნარებს ეკკლესიაჲ. იგი ქართულად ვისმე უთარგმნია და, უწინარეს მრავლისა ჟამისა სიცოცხლესა ნეტარისა მამისა იოანესსა, მოეწერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოსსა ჭყონდიდისასა და ეკითხა: ვითარმედ შესაწყნარებელ არსა კითხუაჲ წიგნისა ამის ანუ თუ არა? ხოლო ჩვენ მიუწერეთ მას: ვითარმედ არა შესაწყნარებელ არს. გარნა კარგნიცა საქმენი მრავალნი ჰსწერიან და ღვარძლნიცა წუალებისა თანა შთაუთესავს და მით უხმარ არს იგი'' (იხ. გვ. 9).

ამავე წერილში ეფთვიმე ჩამოსთვლის სხვა აღკრძალულ ქართულ წიგნებსაც, სახელდობრ: ა) ადამის ცხოვრება, ბ) სიყრმე ოჳფლისა, გ) მოციქულთა ცხოვრება, დ) მათე მახარებელისა, ე) ანდრია მოციქულისა, ვ) წმ. გიორგის ცხოვრება, ზ) (წიგნი), რომელსაც დადიანესი ეწოდების, ჱ) წმ. კჳრიკესი, თ) წიგნი აბოკრო უცხოთა რათმე საქმეთა მეტყველებს და ეკკლესია საბერძნეთისა არა შეიწყნარებს (იხ. ხელ-ნაწერის გვ. 9).

ამას გარდა, ჩვენ გვაქვს ცნობა შესახებ წიგნებისა: ნებროთისა და ენოქისა. ნებროთის წიგნი მოხსენებულია ქართლის ცხოვრებაში მეფეთა მირიანისა და ვახტანგის ისტორიაში. იქ, სხვათა შორის, იხმარება სიტყვა: დაიწყო ,,ძიებად ძველთა და ახალთა წიგნთა'', ,,ჰკითხავნ აბიათარსა ძველთა და ახალთა წიგნთასა'', ,,და წიგნიცა, რომელი აქუნდა მირიან მეფესა ნებროთისა მასცა წიგნსა შინა პოვნა წერილი ესრეთ... მე ვარ მიქელ, რომელი დადგინებულ ვარ ღვთის მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავალისასა... მაშინ გულის ხმა ჰყო მეფემან მირიან, რამეთუ ძველნი წიგნნი და ახალნი ემოწმებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა'' (გვ. 84).

ეს ნებროთი, ვახტანგ მეფის თქმით, არის გმირი ენათა შერევნის დროისა და ჩვენ ქართველნი ვართ ნათესავნი მისნი. მისდამი იყო ზეგარდამო ხმა უფლისა: ,,მეფობა შენი მეფობდეს ყოველთა მეფეთა ზედა''. ენათა შერევნის შემდეგ ,,დაუტევნა ჰინდურად მზრახველნი ინდოეთს, სინდნი სინდეთს, ჰრომნი ჰრომს, ბერძენნი საბერძნეთს, აგ და მაგუგ მაგუგეთს, სპარსნი სპარსეთს. ხოლო პირველი ენაჲ ასურებრი იყო და ესენი არიან შვიდნი ენანი, რომელნი ნებროთისამდე ზრახვიდეს''. შემდეგ ამისა ვახტანგ მეფე შენიშნავს: ,,ამისთვის მოგითხარ, რომელ მამათა ჩვენთა დაფარულად ეპყრა წიგნი ესე (ნებროთისი), ხოლო მე შურმან საღმთომან მაიძულა თქმად ამისსა: ამის მიერ შეიწყნარა მამამან ჩვენმან მირიან სახარებაჲ იგი ნინოსი'' (გვ. 123).

ეს ნებროთის წიგნი დიმ. ბაქრაძეს მიაჩნია ,,ადამის წიგნად''. ეს წიგნი, მისივე თქმით, იხსენიება გიორგი მთაწმინდელისაგან აპოკრიფულ შრომად, ხოლო დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ გიორგიზედაც ადრე ამ ,,ადამის ცხოვრებას'' აპოკრიფიულად ჰხადის წმ. ეფთჳმეც.

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას მეათე საუკუნეზე უწინარეს დროინდელ ქართულ წიგნებზე, ვითარნიც, სხვათა შორის, არიან: ა) წიგნი აბოკრო, ბ) წიგნი დადიანესი და სხ. რა წიგნებია ეს წიგნები? რა შინაარსისაა? ვისი დაწერილია? როდის დაწერილია? თარგმნილია, თუ ორიგინალური? ყველა ამ კითხვებზედ პასუხის მიგება დღეს შეუძლებელია, რადგან ორთავე ეს წიგნი დაკარგულად ითვლება. აბოკროზედ ორიოდე ცნობა მაინც მოიპოვებოდა, მაგრამ რომ ქართულს ენაზედ იყო ,,წიგნი დადიანესი'' ეს-კი ჩვენთვის სულ ახალი ამბავია.

წიგნში „Записки Восточ. Отд. Имп. Рус. Общества“ *) დაბეჭდილია წერილი ამ საზოგადოების თავმჯდომარის В. Р-სი. იგი ამტკიცებს, რომ ეფთჳმეს ,,ქართულიდამ ბერძულად გადუთარგმნია რამდენიმე წიგნიო და მათ შორის ,,ბალავარი'', ,,აბუკურა'' და სხვ. რომ ბალავარი მართლაც ქართულიდამ არის გადაღებული, ეს იმით მტკიცდებაო, რომ ა) წმ. იოანესი და ეფთჳმის ცხოვრების თქმით ეს უკანასკნელი განთქმული იყო არა თუ მარტო საქართველოში, არამედ საბერძნეთშიაც, რადგან ქართულიდამ გადათარგმნა ,,ბალავარი'' და ,,აბუკურა'' და ბ) პარიჟისა და ვენეციის ხელნაწერ ,,ბალავრის'' სათაურშივე პირდაპირ არის ნათქვამიო, რომ ბალავარი ,,ქართულიდამ ბერძულად სთარგმნა წმ. ეფთჳმი ივირმაო''.

ზემორე მოყვანილ ეფთჳმის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნიდგან სჩანს, რომ ბალავარი, თუ მაშინ არსებობდა ქართულს ენაზე, კანონიერ წიგნად აღიარებული ყოფილა, რადგან უკანონო წიგნების რიცხვში იგი არ არის მოხსენებული. ხოლო აბუკურა კი უკანონო ყოფილა. ძალიან შესაძლებელია, რომ ეს წიგნი ეფთჳმემ გადიღო ბერძულს ენაზედ და ბერძნის ეკკლესიამ იგი უკანონოდ აღიარა.

ამ კითხვა-მიგებაში მოხსენებული სტეფანე მე სწორედ იმ სტეფანე ჰყონდიდელად მიმაჩნია, რომელსაც საგალობელი ჰხადის სანანოჲსძედ. სხვა ჰყონდიდელი, სახელით სტეფანე, ჩვენ არ გვახსოვს.

თვით პალეგრაფიაც (წერის ნიმუშები) გვიჩვენებს, რომ ეს ხელნაწერი არა უგვიანეს მეათე საუკუნისაა. ამ ხელნაწერის წერა და ,,შატბერდის კრებულისა'' ძრიელა ჰგვანან ერთი მეორეს. შატბერდის კრებულის ჩვეულებრივ ხუცურის ხელით მინაწერები ხომ სრულიად არ გაირჩევა ,,საგალობელის'' ტექსტის ხელისაგან. საკვირველია ის გარემოებაც, რომ ორთავე ამ ძველ ნაშთში თითქმის ერთივე იგივე პირნი იხსენიებიან: მიქელი იქაც და აქაც ერთი უმთავრესი პირთაგანია. იქაც და აქაც იხსენიებიან სტეფანე, იოვანე.

გარდა ამ მსგავსებისა, განსხვავებაც არის. შატბერდის კრებულში საქართველოს ისტორია სრულდება

*) იხ. ტ. I, გამოც. I და II, გვ. 166—174.

კეთილ-შობილებაზე, არა ვარ ჩაწერილი არც მეტრიკის წიგნში, არც აღსარებითს სიაში, რომ მე არ მომეძევება არც ნამსახურებითი სია, არც ჩამომავლობითი და სხვა ქალაქის და სოფლის მცხოვრებთ სიათა მოწმობა, ჩემის მაზრის მდივანბეგისგან შედგენილი სია, რომელშიაც მე ვარ ნახსენები შვილად მამის ჩემისა, იმან—დეპუტატთა კრებამ—უნდა მიიღოს პატივდებაში და ჩათვალოს იმ სიათა რიცხვ შორის, რომელიც არის ნაჩვენები მეორე მუხლის შენიშნვაში და რომელიც დაამტკიცებს ჩემს ჩამომავლობას. ამიტომ რომ ეს სია არის შედგენილი კანონიერად დაწესებულის მთავრობისაგან და არ არის არა ვითარი საფუძველი, რომ იგი იქნას დაყენებული ჩემის მაზრის მღვდლისაგან შედგენილის აღსარების სიაზე დაბლა. ამაზე უფრო მაღალს მნიშვნელობას, უეჭველია, არ მისცემენ ამ საბუთს, თუმცა-კი, თავიდამვე რომ ესურვებინა მთავრობას, იგი უნდა ყოფილიყო სრულად მიღებული... თავად-აზნაურობის დამამტკიცებელ საბუთად.

მთავრის დავით დადიანის გვართა სიას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, რადგანაც პირადად არა ვინ არის ცნობილი ამ სიაში და კანონი-კი ითხოვს, რომ ყოველს, კეთილშობილების ღირსების მეძიებელს, უეჭველად ჰყავდეს ერთი ვინმე სახელდადებული წინაპარი, ცნობილი მთავრის საბუთისაგან.

ერთი სიტყვაც სემეგრელოს თავად-აზნაურთა წინამძღოლელებზე. სხვა, ამაზედ უფრო დიდი და საყოველთაო, ამაზედ უფრო მახლობელი წოდებრივი [illegible] ლოს თავად-აზნაურობას არა ჰქონიარა ჯერ. თუ ამასთან იმასაც მოიხსენებთ, რომ სამეგრელოს თავად-აზნაურობა ცოდნით და კანონის მიგნებით ვერ არის დაწინაურებული, ადვილად დათანხმდებით, რომ ათასსა და ათი ათასს კაცს, რომელსაც უნდა თავის ღირსების აღდგენა და შენახვა, წინამძღოლისაგან წინგაძღოლა და გზის ჩვენება სჭირია. ეს ერთი წელიწადია, კანონი გამოიცა და ამდენს ხანს არც ერთმა სამეგრელოს თავად-აზნაურთა წინამძღოლმა არ შეჰკრიბა თავისი აზნაურობა, არ აცნობა და არ განუმარტა კანონი, არ უჩვენა გზა მოქმედებისა, არ იშუამდგომლა ადგილობრივ ადმინისტრაციისა, თუ უწმიდესის სინოდის კანტორის წინაშე, რომ გაეადვილებინა თავად-აზნაურებისათვის სხვა-და სხვა მოწმობის და ცნობის მიღება. ერთის სიტყვით, არ აღასრულა თავისი მოვალეობა და თავის თავზე მინებებული თავად-აზნაურობა ჩაუგდო პირში სხვა-და-სხვა ვექილებს და არა-ვექილებს, რომელთ მოწყალებით მისი ღირსების დამტკიცება, შეიძლება, ერთობ ძვირად და საგრძნობელად დაურჩეს. თუ მოისურვებენ, არც ეხლა არის გვიან, რომ წინამძღოლებმა წარსული შეცდომა გაასწორონ და თავად-აზნაურობას ნამდვილი სამსახური გაუწიონ. ,,არას-ოდეს'' კიდევ ,,როდესმე'' სჯობია და საზოგადოების მადლობასაც დაიმსახურებენ ოღონდ-კი ინებონ!

ი. მეუნარგია

## ახალი ამბავი

⁂ პეტერბურგიდან ამბავი მოვიდა, რომ იქ გარდაიცვალა პროკურორი უწმინდესის სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორისა ბ-ნი შირსკი.

⁂ ,,გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო'', რომ იტყვიან, სწორედ ისე ემართებათ ჩვენს ჩარჩებს. როგორც ვიცით, ამ ბოლოს დროს ქალაქის აგენტებმა გულს-მოდგინეთ ჩაჰკიდეს ხელი ამ ვაჟ-ბატონებს, რომ დაავიწყონ მათ როგორმე ცუდი ჩვეულება: ქალაქს გარედ გასვლა და სოფლელებისაგან სურსათ-სანოვაგისა და ხორაგეულობის ძალ-დატანებით ნახევარ ფასად ყიდვა და მერე ბაზრებში გამოსვლა და მამა-სისხლად გაყიდვა. მართალია, შეწუხდნენ, მაგრამ ესენი მაინც არ შეშინდნენ და ყოველს ღონეს ხმარობენ, თავისი სურვილი აისრულონ და ქალაქის აგენტების ბრძანებას თავი დააღწიონ. მაგ., თათრის მოედანზედ, სადაც დიდ-ძალი ხორბალი და ფქვილი ისყიდება, ჩარჩებს დასანახავადაც ვერ ნახავს კაცი, მაგრამ არ გეგონოთ, თავი დაუნებებიათ ამ სანუკვარ ადგილისათვისაო: ისინი არ არიან, მაგრამ მათი აგენტები ბლომად დატრიალებენ აქა, წვრილ-წვრილად ჰყიდულობენ, რაც უნდათ, და ჰგზავნიან ჩარჩებისაკენ, რომელთაც იქვე ახლოს გამართული აქვთ საწყობი ადგილები.

პარასკევს, დილის 5-6 საათზე რომ გასულიყო კაცი ავლაბრის მოედანზედ, თვალ-წინ მშვენიერი სანახავი წარმოუდგებოდა; ლანძღვა-გინებას და სხვა ამ გვარებს იაფი გასავალი ჰქონდა ამ დილას. ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის აგენტები ამ დილა ადრიან გამოსულიყვნენ მოედანზედ და ჩარჩებს არ აძლევდნენ ნებას სოფლელებისაგან ხორაგეულის სყიდვისას. უარესი დღე ადგათ საწყალ გლეხებს ეგრედ წოდებულს ,,ზასტავა''-ს იქით, სადაც [illegible] კინტოები ხილის მომტან სოფლელებს ამ დილას. დაინახეს თუ არა აგენტები, კინტოებმა სოფლელებს გზა მოუჭრეს ქალაქისაკენ და იქვე ,,ზასტავა''-ს გარედ ვილაც ფარემუზოვის ეზოში შეჰყარეს ხილიანათ და გარეშე კაცს არავის უშვებდნენ.

აგენტები დიდად გაკვირვებულნი იყვნენ, რომ ავლაბრის მოედანზედ სოფლელებს ვერა ჰხედავდნენ. შეიტყეს კინტოს ოინები და საჩქაროდ ფარემუზოვის სახლისაკენ გაეშურნენ. ბევრი ემუდარეს კინტოებმა აგენტებს, ბევრი ეცადეს, თავი შეებრალებინათ, მაგრამ ვერას გახდნენ. აბა, ეხლა უნდა გენახათ ეს ბიჭები! ლანძღვა-გინებამ და ღრიალმა ერთი ათად იმატა; ქალაქის გამგეობასა და მის აგენტებს კარგა ბევრი კურთხევა ერგო ამ ვაჟბატონებისაგან. გაიძახოდნენ, არ გვრწამს არც გამგეობა და არც მისი აგენტებიო. საქმე მაინც იმით დაბოლოვდა, რომ კინტოები მირეკ-მორეკეს და დატყვევებული სოფლელები გამოიხსნეს ფარემუზოვის ციხიდგან, მოიყვანეს და დააბინავეს ავლაბრის მოედანზედ, სადაც თავის ნებაზედ ჰყიდდნენ მოტანილს სავაჭროს და მყიდველებიც პირდაპირ მათგან ჰყიდულობდნენ იმ ფასად, რომელიც ბევრად უკან ჩამორჩება კინტოს ფასსა.

ლანძღვა-გინების ოსტატებსა და უწესოების მოთავეთ პოლიციამ ოქმი შეუდგინა და წარუდგენენ მომრიგებელ მოსამართლეს დამნაშავეთა სამართალში მისაცემად.

⁂ ბარის ოსები: ჩვენში მოსავალი ძლიერ კარგია, მაგრამ უბედურებაც თან დაჰყვა. ერთი რაღაც მწერი გამოჩნდა „ხაბზუკა"-ს მსგავსი, ჰფრინავს, თითო თავთავს ოცი ოც-და-ათი აჯდება ხოლმე; საცა-კი მოედო ყანას, თავ-თავი სულ ძირში აჰკვეცა და ცალიერი ნამჯა-ღა გაუშვა. ბევრმა პატრონმა კიდეც გაანება თავი ყანის მომკას. ხალხი ჰშიშობს, ვაი თუ ფეტვსა და სიმინდსაც მიჰყოს ხელი ამ უცნაურმა მწერმა და ამათაც ავნოსო.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ორი პატარა წიგნი გაზ. „მეურნე"-ს რედაქციის მიერ სუფთად და ლამაზად გამოცემული: „საზოგადო მიწად-მოქმედება", ფასი ერთი აბაზი, და „საზოგადო ზოოტეხნია, ანუ საქონლის მოვლა-მოშენება"—ფასი ხუთი შაური. ორივე წიგნი მ. ზაალიშვილს შეუდგენია.

⁂ მთავრობას განუზრახავს შემოდგომას შეუდგეს სამეცნიერო ხარისხთა წესდების გადასინჯვას.

⁂ გზათა ინჟინერებს განუძრახავთ შეადგინონ და მთავრობის წინაშე წარადგინონ პროექტი იმის შესახებ, რომ ახალი სპეციალური სასწავლებელი იქმნეს დაარსებული, და აქ სწავლა-დაუმთავრებულს ინჟენერების თანაშემწეს თანამდებობა მიეცეს იმ გვარად, როგორც საფრანგეთშია შემოღებული. ამ ახალის პროექტის სასწავლებელი საშუალო სასწავლებელი იქნება და ძლიერ დიდს შეღავათს აღმოუჩენს რკინის გზების გაყვანის დროს მეორე ხარისხის თანამდებობის ადგილზედ, რადგან დღეს ეს ადგილი ან სრულებით მოუმზადებელთ უჭირავთ, ან ინჟენერსა და ამ უკანასკნელთ დიდი ჯამაგირიც ეძლევათ, მაშინ როდესაც ინჟენერები ისეთ საქმეში შეიძლება ჩავაყენოთ, სადაც მართლა საჭიროა საინჟენერო საქმის ცოდნაო.

⁂ შეგვიძლიან ვახაროთ მკითხველებს, რომ ჩვენი პოეტი, აკაკი წერეთელი ამ ჟამად სრულებით კარგად არის, როგორც შეუტყვია გაზეთ ,,ნოვ. ობოზრენიე''-ს რედაქციას.

---

აშოტ კურატპალატის (786—826 წ.) შვილის გურამ კურატპალატის დროს, ხოლო საგალობელში მოხსენებულია მეფენი სუმბატ (923—958), გურგენ (958—980) და დავით კურატპალატი. განსხვავება კიდევ ისეთია, რომ შატბერდის კრებულის პირველი ნახევარი დაწერილია ასო-მთავრულით დ̃ მეორე—წვრილიხუცურით, ხოლო საგალობელი-კი მთლად წვრილი ხუცურით, გარდა ზედ მინაწერებისა, სათაურებისა,—ყველა ეს შესრულებულია ასო-მთავრულით. მთავარ ასონი ხშირად მშვენიერად დახატულია. ზოგი ასოები მინანქრით მოკაზმულია, თავსა და თავს შორის მრავალფერადად დახატულია არშიები და გავლებულია ზოლები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო მსგავსება ორთავე ამა ნაშთისა. შატბერდის კრებულის გადამწერი ამბობს ქართლის მოქცევის შესახებ: ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ, ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ჰპოვეთ''.

თითქმის ამავე სიტყვებით საგალობელის მწერალი ამბობს: ,,საგალობელნი... ფრიადითა ხარკებითა და გულ-მოდგინედ ძიებითა... ჰპოვენ ენითა ქართულითაჲთა და განვაწესე სიმართლითა და სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა''.

და არც ენა საგალობლისა განსხვავდება შატბერდის კრებულის ენისაგან.

ყველა ზემორე მოყვანილ ცნობების შემდეგ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს ,,საგალობელი'' მეათე საუკუნეშია გადაწერილი, ხოლო მისი დედანი-კი, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ დაკარგულია, უნდა ყოფილიყო შედგენილი ამაზედაც უწინარეს დროს, ვინ იცის, მეათისავე დასაწყისს ანუ ამაზედაც ადრე.

ალბათ მიაქციეთ ყურადღება აგრეთვე იმ ამბავს, რომ მიქელი იხსენიებს მეხურ საგალობლებს, რომელიც მას უპოვია ,,ქართულითა ენითა''. ეს მეხური ალბად კორექტურულ შეცდომად ჩასთვალეთ და იფიქრეთ, რომ მესხურის მაგიერ მეხური დაუბეჭდიათო.

მეც აგრე მეგონა, მინამ წავიკითხავდი ამ ხელნაწერის სხვა-და-სხვა მინაწერებს. და რახან ყველგან მოხსენებულია ,,მეხური'', ამიტომ აქ შეცთომაზე ლაპარაკი აღარ უნდა იყოს. ,,მეხური'' უნდა იხმარებოდეს მაგიერ ,,სომხურისა'', რომელიც მართლაც შემოკლებულია სიტყვიდამ ,,სომეხური''. ქართულ ენასა და მის კილო-კავებში პრეფიქსი ,,სო'' უდრის პრეფიქსს ,,სა'', რომელიც მეგრულში ხანდახან გადადის ,,ო''-ზედ და სვანურში ,,ლა''-ზედ. მაგალ. სა-რცხი მეგრულად ითქმის ო-რცხონჯი *) და სვანურად ლა-ცხნირ. აგრეთვე სა-ზომი მეგრულად ო-ზომალი და სვანურად ლა-ზმა; სა-ზრახავ სა-ყვედური=მეგრულად ო-ზრახებელი და სვანურად ლა-სყვადურ; სა-თხემე სვანურად ლა-თხუმ. როგორც ,,სა'', ისე ,,სო'', ,,ო'' და ,,ლა'' ერთნაირად არიან ,,კუთვნილებისა'' და ადგილის მაჩვენებელნი მარცვალნი. ძველი გეოგრაფიული და ეტნოგრაფიული სახელების ახსნას ძრიელ აადვილებს ამ მარცვლების ერთივე იგივეობა. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს.

ქუთაისის მარცხენა მხრის მთებს, საცა ბაგრატის ტაძარია ძველად ერქვა (დ̃ მგონი დღესაც უწოდებენ) უხამერიონის ანუ ოხამერიონის მთებს. ერთი ჩვენებური ფილოლოგი ამ სახელს უკავშირებს ბერძნულ სიტყვას ,,ხიმა'' (ზამთარი) და ამ ხიმადამ აწარმოებს ოხამერიონს. ჩემის აზრით-კი აქ ზამთარს არაფერი ადგილი არა აქვს. უხამერიონის ფესვი უნდა იყოს ქართულივე სიტყვა ოხუა, რომლიდგანაც იწარმოვა სიტყვები: საოხი, საოხებელი, ოხება და აქედგან მეგრული სახელწოდება ეკკლესიისა ოხვამე და სვანურიც ლაკვამ. ეს სიტყვები ქართულის პრეფიქსით ასრე გამოითქმის: სა-ხუამე და სა-კუამ, ე. ი. ადგილი სასაყდრო, საღმთო, სავედრებელი ანუ საოხი, სა-ოხებელი, ო-ხუამერიონი (ძველად მეგრულად).

ამგვარადვე მე მგონია, რომ ,,მეხური'' და ,,სომეხური'' ერთი და იგივე სიტყვა უნდა იყოს. და ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ ქართული ,,მეხური'' წარმოებულა სომხურის სიტყვიდამ ,,ჰაჲ''. უნდა დავიხსომოთ, რომ ქართულ დედა-ენაში ასო ,,ჰ'', იცვლება ასო ,,ხ''-თი. მაგ. სვანები და ინგილონი იტყვიან ,,ყაჰბა'', ხოლო დანარჩენი ქართველები ,,კახბა''. ქართველები ჰქუა, სვანნი ხაქუა; ჰიდრო, მჰიდრო, მჴჯიდრო (ძველად) და სვანურად მხჯიდ. ეს ჰ გადადის აგრეთვე ღ-ზედ; მაგალ. ჴლეჰ ხევსურულად ითქმის ღლეჰ ანუ კიდევ: ჰჴლეწაჰ-ჰღლეწაჰ და სხ. ამგვარად პირვანდელი ჴაჲ ჩვენს ენაში მოინათლა ხაჲ-ად, ამას როგორღა მიემატა პრეფიქსი ,,მე''? ისე, როგორათაც სვანებმა ,,ქართ-ს'' (ქართლი) მიუმატეს ,,მჰ'' და გამოვიდა ,,მჰ-ქართ'', ე. ი. ქართლელი, შვანს (სვანეთი) მიუმატეს ,,მუ'' და გამოვიდა ,,მუშვან'', ე. ი. სვანი, სვანელი; რუსს ,,მუ'' და გამოვიდა, ,,მურუს'' (რუსი) მო-წამე სვანურად ითქმის მე-წმ დ̃ სხვ. აქედგან ცხადად სჩანს, რომ პრეფიქსი მე, მჰ, მუ არის მიმღეობის ნიშანი, რომელიც ქართულ ენაში ხან იხმარება, ხან არა, ვითარცა სხალი და მსხალი, ტრედი და მტრედი, ღდელი და მღვდელი, ტბევარი და მტბევარი, ეგრისელი და მეგრელი, თიულეთი და მთიულეთი და სხვ.

ასრევე წარმოსდგა ,,მეხაჲ'', რომლიდამ ზედშესრული იქნება ,,მეხური'' და აქედგან-კი სომეხური, სომხური, სომხეთი, სომხითარი. აგრეთვე მეხაჲური და შემოკლებით მეხური, ვითარცა მამაჲური-მამ-ური, დედაჲური-დედ-ური, დაჲური-დ-ური.

ეს ჩვენი შესწავლებაც რომ უგერგილო აღმოჩნდეს, მაინც ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ,,საგალობელის'' ,,მეხური'' აღნიშნავს ,,სომხურს''. ეს მტკიცდება იმითაც, რომ წიგნში შიგა და შიგ მოიპოვება ათიოდე სომხური სიტყვა და წინადადება. მაგ. ,,ტერ ვოღორმი'' (უფალო შეგვიწყალენ) ,,დრანქ (სამოთხე) და სხვ.

თუ ,,მეხური'' ნიშნავს სომხურს, მაშინ ჩვენს საგალობელს ერთი-ორად მეტი ფასი დაედება, რადგან, როგორც ამბობენ, სომხებს დაუკარგავთ თავისი ნაციონალური ხმები და ახლა ევროპიული შემოუღიათ. დღეს ჩვენის საგალობლის შემწეობით შეიძლება სომხებმა სრულად აღადგინონ თვისი ძველი გალობა, რომლის შესახებ საგალობელის ავტორი შენიშნავს (იხ. გვ. 49):

,,საყოჳარელნო: ოჳკოჳეთოჳ: ერთსა: ძლისპირსა ზედა: რომელიმე: კილოჲ: ერთი: ორგოჳარად: იყოს: აღნიშნოჳლ: ნოჳ ოჳცხო გიჩნ: ნოჳცა: ოჳრთიერთას წინააღმდგომ: რამეთოჳ: რომელიმე: მრავლისა: ძლისპირისა: ერთი კილოჲ: ორგოჳარად არს: მეხოჳრად: ხოლო: შენ: რომელი გინებს: ბრძანე: რამეთოჳ: ორივე: ჭეშმარიტ არს:."

ახლა ვიტყვი ორიოდ სიტყვას თვით შინაარსისა და წიგნის ნოტების შესახებ.

*) თუმცა ეს სიტყვა მეგრულად ნიშნავს სავარცხელს, მაგრამ ეს ჩვენი მიზნისთვის სულ ერთია. რადგან ეს სიტყვები ერთი ძირისაგან წარმომდგარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ზოგიერთი სახლის პატრონი ჩვენს ქალაქში არ უშვებს ბუხრის მწმენდავებს, რომ ამ თავითვე დროზედ გასწმინდონ ბუხრები, და გაიძახიან, შემოდგომაზედ მოდით და სწმინდეთო. აქედამ ის წარმოსდგება, რაც შარშან ზამთარში მოხდა: ერთს დროს მიაწყდებიან გამგეობას, არიქა, ბუხრები გაგვიწმინდეთ, ცეცხლი ვერ დაგვინთიაო, და გამგეობამ არ იცის, საით გაგზავნოს ბუხრის მწმენდავი. მეორეც ისა, რომ თუ დროზედ არ გაიწმინდა ქალაქის ბუხრები, ერთბაშად მებუხრეები ვერ ასწრებენ თავის საქმეს.

არ უშვებენ ბუხრების გასაწმენდათ ისეთებიც-კი, რომელთაც ბუხრის გასაწმენდი გადასახადი უკვე გადახდილი აქვთ. ამიტომაც ქალაქის თავმა დახმარება სთხოვა პოლიცმეისტერს, და თან ის გამოუცხადა, რომ ვინც ამ ორის თვის განმავლობაში ბუხრის გაწმენდაზედ უარს იტყვის, შემოდგომა-ზამთარში სრულებით არ გვაუწმენდავთ ბუხარსაო.

პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა, რომ პოლიციის მოხელეებმა ყოველი საშუალება აღმოუჩინონ ბუხრის მწმენდავებს და ყოველ კვირა, შაბათობით, მოახსენონ, თუ რამდენი ბუხარი გაიწმინდა და რამდენმა უარი განაცხადა გაწმენდაზედაო.

*** კავკავი. ამას წინად თავი დაირჩო მდ. თერგში ცამეტ-თოთხმეტის წლის სომხის ქალმა. საქმე, როგორც ამბობენ, აი როგორ ყოფილა: ამ ქალის დედ-მამა და ერთიც სხვა ერთს ეზოში მდგარან. მდგმურისთვის კატას მაწონი შეუჭამია და მეზობელ დედაკაცს ამ საბრალო ქალისთვის მაწონის შეჭმა დაუბრალებია, ᲓᲐ დედასთან დაუბეზღებია. ქალი ბევრს ჰფიცულობდა თურმე, მაწვნის შემჭმელი მე არა ვარო, მაგრამ გაწიწმატებულმა დედამ არ შეიწყნარა ქალის ფიცი, კარგა ლაზათიანად სცემა და თან დაემუქრა, ძმასთან დაგაბეზღებო. ქალმა ვერ აიტანა ცილის წამება, რცხვენოდა, მეზობლებში ხმა გამივარდება მსუნაგობისაო, და ამის მიზეზით თავის დარჩობა არჩია. დილა ადრიან, ახალ გარიჟრაჟისას, მივიდა თერგის ნაპირს, ფეხთა და ტანს გაიხადა, ტანისამოსი იქვე ნაპირას დაალაგა და თავი გაშმაგებულს თერგის ტალღებს მისცა. ქალის გვამი მეორე დღეს იპოვეს.

*** ხვალ, 15 ივლისს, ორმოცდაათი წელიწადი შესრულდება მას აქედ, რაც რუსეთის გამოჩენილი და მეტად სახელოვანი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი გარდაიცვალა. რუსეთის საზოგადოება და მწერლობა დიდის ამბით ელოდდება ამ დღეს, რომ ღირსეულად მოიხსენიოს ღირსეული თავისი პოეტი. საზოგადოების სხვა-და-სხვა დაწესებულება ამ დღისათვის აპირებენ განსვენებულის პოეტის სხვა-და-სხვა ნაირად მოხსენებას: გარდა იმისა რომ პანაშვიდს გადაიხდიან, ბევრგან სტიპენდიებს აარსებენ მ. ლერმონტოვის სახელობაზედ.

განსვენებულს პოეტს თითქმის უმეტესი ნაწილი—საუკეთესო ხანა თვისის სიცოცხლისა—ჩვენს მხარეში გაუტარებია, და აქვე გაუთავებია,—პიატიგორსკში.

## ᲐᲠᲩᲘᲚᲣᲠᲘ, ᲨᲕᲘᲓ-ᲗᲐᲕᲘ

(საამდროო ამიცანები)

—

Იწდია ევროპიელთა გრძნობა-აზრისა ნაქმნარი,
Ოლიმპიელთა მგოსანთა ქართულად უწყო მან ქნარი:
Სთარგმნა ლექსითა არ ცუდით იმათი მონასაგნარი,
მრიდა ძნელსა—კარგიც ჰქმნა,—ვაზობას ვერ იქმს ხომ მდგნარი;
ბუმბერაზ-პოეტს მოსტაცა ცრემლი, ვით ტყვია გამდნარი,
სევდა-განწირვის გრიგალიც, „ჩაილდის“ კვნესით ამტყდარი.

## ნამცეც-ქაცუმაცი

—

„გუშინ მთელი ქალაქი ფეხზედ დადგა. მძინარე ხალხს თავს დაესხნენ და თოფის ჰექა-ქუხილი გაისმა. ყმაწვილებმა ჟივილხივილი შეჰქმნეს. მანდილოსნები დაწიოკდნენ“...

„მთელი სოფელი კარ-დარაზულია და ჩაკეტილი. ყოველ წუთს ელიან მტრის თავს დასხმას. შიშით, ღერეფანში-კი არა, მინდვრადაც ვერავინ გასულა სამუშაოდ. სოფელს დარაჯები უყენია“...

„ბრძოლამ დიდხანს არ გასტანა. რამდენიმე კაცი დაიჭრა და დასახიჩრდა. სამიოდე ოჯახი დაარბიეს“...

რა ამბავიაო, იკითხავთ: თემურლენგი შემოჰსევია საქართველოს და აკლება-დაწიოკებას უპირებს, თუ შაჰ-აბასი და ირაკლი ეძგერნენ ერთმანეთს, ქვეყანამ ნძრევა და რყევა მოიღო, ლაშქარ-ომიანობის ზარი და ზათქი გაისმა, ქვრივ-ობლების ცრემლითა და დახოცილების სისხლით მოირწყო დედამიწა, მთა ბარს შეუთანასწორდა და ბარი გამთამწვერვალისდა და საქართველოს ცოდვით იწვის ყოველი სულდგმული? აგრეც რომ იყოს, რას შეუშინებია, რას დაუფრთხია აგრე ძლიერ „ერი გულადი, პურადი, მოყვარე თავის ქვეყნისა“? სად-ღაა უწინდელი მამაცობა, უწინდელი გმირთ-გმირ და დევ-გმირობა, სადღაა ის

„ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა,
კვალად ზეხტომა და ხმალთ კრიალი!?.

აგრე როგორ დალაჩრებულან, აგრე როგორ დამანდილოსან-დადედაკაცებულან, აგრე როგორ დაძაბუნებულან, აგრე როგორ დანაცარქექიავებულან და ძველი ზნე, ძველი ნიშან-წყალი, მამა-პაპათა მძლეთ-მძლეობა, გულმაგრობა, თავ-განწირვა, თავ-გადადება და გამომეტება რა ზლვის, რომელს მორევში ჩარჩენიათო?!

თქვენს მტერს, რომ ძველის დიდებით-ღა ვსულდგმულობთ და გულგამოღებულ თხილის ნაჭუჭადაც აღარ ვღირვართ, „თავი ჩვენი მწველელ ფურად გადვიქციეთ“. რის შაჰ-აბას-შაჰ-თამაზი ქართლს ხუთიოდე წუნკალა ავაზაკი შემოჰსევია და ისა სცემს თავ ზარს, ის იკლებს აქაურობას, ის გვიდნობს და აღარც შველაა და აღარც მოსვენება იმათგან. ჩვენის ნეტარის თავად-აზნაურობის შვილიშვილნი „ბაწაწკებად“ გადაქცეულან და მამის შვილობა მხოლოდ ღვინის უხვად და ხარბად სმით-ღა თუ ეტყობათ, თორემ სხვით არაფრით. ქართლის რკინის გზის სადგურებზედ გაბძანდით და ჰნახავთ ნაშთს ძველთა მამა-პაპისას: ახლად ულვაშ-შეღერებულს თავად-აზნაურთა ახალგაზდობას მამაცად ჩამოუკანტურებია წინ ხანჯალი, გვერდზედ ხმალი, ჯიბეს—დამბაჩა ჩაუსაფრებია, ყელ-მოღერებული და ფშუტა თავთავსავით თავ-აკინტრიშებული უქმად და ფუჭად დაყიალებს წარბ-შუბლ შეკრული და დოინჯშემოყრილი, თითქოს ცა ფაფანაკად არ მიაჩნდეს, დედამიწა—ჩუსტის ნალად და მთა-მინდვრები—ქალამნის ზორტებადაო, და იმის მამულს, იმის მამა-პაპათა სამფლობელოს-კი ხუთი წუნკი ფირალი ანიავებს და წყალსა და ნიაღვარს აძლევს.

მოდი და ნუ იტყვი, რომ სახელია და სახრავი-კი არა; ხმალ-ხანჯალი ქარქაშში ჩაჟანგებულა და პირები დასჩლუნგებია; გულადი ლაჩრადი გამხდარა, ქვეყანა დაქუცმაცებულა, დაქონდრისკაცებულა, დაბაჯაჯღანებულა; რაც-კი რამ კარგი ღირსება გვქონია, ის წაგვლეკია და დავრჩენილვართ ფიტა-გამოცლილები: დიდებულ თავად-აზნაურთა შვილებს მუცელი-კი შერჩენიათ, ეს უძირო გოდორი, ჭამად და სმად, და გული-კი აღარ—მტრის მოსაგერებლად, ავაზაკთა ბრბოს ასალაგმავად და ქვეყნის სიყვარულად. თავი-კი შერჩენიათ, რომ მხრების ზემოდგან წამოკანტურებული იყოს რამე და შეხედულობას არ უფუჭებდეს, და ჭკუა-კი აღარ იმის საფიქრებლადა და საზრუნებლად, რომ ჩვენი სხვას არ წავალეკინოთ, სხვას არ წავათელინოთ, სხვას არ შევაგინებინოთ, კერძოდ ამ შემთხვევაში და საზოგადოდ-კი ყოველთვის და ყოველგან. მოდი და ნუ განიმეორებ დიდებულ პოეტთან ერთად, რომ

გულს ქწუხების, რა აგონდების
დღენი წარსულნი ნეტარებისა!..

დუშიკო

## ᲓᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

**ᲥᲕᲔᲛᲝ-ᲛᲐᲩᲮᲐᲐᲜᲘ:** 7 ამ თვისას სცენის მოყვარე ყმაწვილ-კაცობამ წარმოადგინა „არსენა“, დრამა ა. ყაზიბეგისა და „დედამ აჯობა“, ვოდევილი დ. მაჩხანელისა; ბოლოს წაიკითხეს ლექსები. ზოგიერთმა მშვენიერად შეასრულა თავისი როლი და საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომად მივიდა გარეშემო სოფლებიდგან, დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა და ითხოვდა ხხვა დროსაც გაემართათ წარმოდგენა. თეატრი სკოლის გვერდით, დიდრონ ხეების ქვეშ იყო კოპწიად მოწყობი-

---

ხელნაწერში მოყვანილია საგალობელი შობისა, ნათლიღებისა, აღდგომისა და სხ. დღესასწაულებისა და აგრეთვე მოსახსენებელი საგალობელნი ანუ, უკეთ ვსთქვათ, ,,ქება‘‘ სხვა-და-სხვა წმიდანებისა და მათ შორის ჩვენი ,,აბოისაც‘‘. კარგა ბლომა ნაწილი ყველა ამ საგალობლებისა დაწერილია და შედგენილი ,,იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისაგან‘‘. აბოს საგალობელნი თუმცა შინაარსით, საზოგადოდ, ჰგვანან მისივე შესხმას, დაბეჭდილს საბინინის მიერ, მაგრამ ორივე ეს ნაწერი ერთისა და იმავე მწერლის კალამს არ ეკუთვნის. ნიმუშად მომყავს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი. მსურველს შეუძლიან შეადაროს უკვე დაბეჭდილთან.

მოწამეთა და მართალთა შორის ქებულო. ეკლესიათა შუენიერო სამკაულო. მარტჳლთა სიქადულო. მეფეთა სიხარულო. მორწმუნეთა შემწეო. ახოვანო მოღუაწეო აბო. ღმერთსა ევედრე აწ. მონიჭებად სულთა ჩუენთა დღეს დიდი. წყალობაჲ::

აღმსარებელნი სამებისანი. მორწმუნენი ადამეანნი. აღმასრულებელნი საუფლოსა. ამას დღესა ნათლითა შემოსილსა. საღმრთოჲთა შესხმითა. უგალობდეთ კსენებასა. აბო ახლისა მოწამისასა::

ოჳვარის მყოფელთა ქრისტესთა უშჯულოთა ისმაიტელთა. ნაშობთა შორის ბნელისათა. ვარსკულავად მნათობად გამოჰბრწყინდი მჱნეო. მოწამეო აბო. და საღმრთოჲთა ნათლითა. განანათლენ ქართლისა მყოფნი:.

რაჟამს მიიწია ბაბილონდ. მთავარი ქართლისაჲ*). მაშინ ნეტარი ჰაბო. შჯულითა ისმაიტელი. შეიწყნარა განგებითა ღუთისაჲთა. და მის მიერ გულისხმაყო. ძალი ქრისტეჲსი:.

მორაიწია სანატრელი ჰაბო. არეთა ქართლისათა. იწყო ვედრებად ღუთისა. მოყვანებისათჳს უმჯობესად... დაუტევა შჯული უნდოჲ. და შეიყუარა სარწმუნოვებაჲ. ქადაგებული მოციქულთაჲ...

ეძიებდეს შეპყრობად მოწამესა. ქრისტესსა უშჯულონი. ხოლო იგი ნეფსით მიეცა. კელთა მათთა ვითარცა მკსნელი...

ეტყოდა რაჲ აბო ნათესავთა თჳსთა. კეთილ არს დატევებაჲ ბნელისაჲ. და ჴოწრაფებაჲ ნათელსა ღუთის მეცნიერებისასა. მონებად სამებისა:. ესმა რაჲ ერსა ისმაიტელთასა. აღეგზნეს ცეცხლებრ გულისწყრომითა და მკეცებრ იღრჭენდეს კბილთა. რათა მისცენ მოსიკუდილ. აბო ქრისტეს მოწამეჲ:.

არად შეჰრაცხა განრისხებაჲ უშჯულოთაჲ. არცა ყოვლად ზარ განკხდილ იქმნა.... და არაჲ დასცხრებოდა კითხვად. წიგნთა მათ საღმთოთა.

აღეგზნეს გულისწყრომითა. ულმრთონი ისმაიტელნი. ჰაბოჲსთჳს მოღუაწისა. და ეტყოდეს მსაჯულსა. წარწყმიდე მაცთური ესე. და მკდომი შჯულისა ჩუენისაჲ:.

რაჟამს მიუპყრა. მოწამემან ქრისტესმან, ღუაწლისა მხდომმან, მახჳლსა ქედი თჳსი ქრისტესთჳს. მას ჟამსა კმაყვეს მაღლით უკორცოთა: აღმოვედ ჩვენთანა. გიწესს ოფალი. და იხარებდი წინაშე მისსა.

საგალობლის ნიშნები დაწერილია წითელის მელნით. ამ ნიშნების ზოგიერთი ჰგავს გრძელს ფრჩხილს მაღლა ამართულს, ზოგი ხაზი მაღლა ადის და მერე უცმად განზე გადატყდება და მერე ისევ მაღლა აიმართება. ამ გვარ ხაზს ხშირად ორი, სამი, ოთხი და სხ. გადატეხილი ,,ბუღუმი‘‘ აქვს. სხვა ხაზი ღელვით მიდის მაღლა (ალბაც იგი ,,სარაკრაკო‘‘ ხმას აღნიშნავს). ხშირად ერთსა და იმავე ასოს ზემოდანაც უზის ნიშანი (ხაზი) და ქვემოდანაც.

საგალობელში ხშირად წერილის ანუ საგალობელის სათაურს მოხსენებულია: იამბიკონი, აკრისტიხონნი. ერთ ადგილას, მაგ., ანბანის რიგზე მოყვანილია აკრისტიხონნი (ამ სიტყვას ავტორი ასე ხმარობს), რომელთა ყოველი პერიოდი იწყება შესაფერის ასოთი, ესე იგი პირველი პერიოდი ა-თი, მეორე—ბ-თი და ასე ჵ-მდე. სულ 37 ასო უხმარია ავტორს.

აქ მომყავს მეხუთე ასოთი დაწყებული პერიოდი სრულად:

ენასა ჩემსა უძლურსა.
მოეც ძალი ძლიერი.
ქრისტე სიტყუაო მამისაო.
რათა ვაქებდე ღირსად
ნათლის ღებასა შენსა.:.

აგრეთვე ასო ბ-თი (ნაწყვეტი):

ბუნებით შეუხებელი.
არსებით შეუწერელი.
და სხ.

ერთ ადგილას კიდევ ავტორი შენიშნავს: „საყოჳარელნო: სხუანიცა: გალობანი: ნათლის ღებისანი: მრავალნი: მქონდეს: სიტყუაჲ არა კეთილიყვნეს: და მისთჳს არა დავწერენ“:.

დასასრულ საგალობლიდამ მომყავს ერთი წინადადება, რომელიც აზრითა და წინადადების მოკაზმულობით თითქოდეს „ვეფხის-ტყაოსნის“ დასაწყისს მიემსგავსება.

| საგალობელი: | რუსთაველი: |
| --- | --- |
| რომელმან სიბრძნით დაჳბადნა ცანი მაღლითურთ, და შეჳქმნა ქვეყანაჲ ყოვლით თანა მკჳდრითურთ. (გვ. 379). | რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა, ზეცით მონაბერითა. |

ამით ვათავებ ჩემ შენიშნვას. იმედი მაქვს ქართულისა, სომხურისა და ბერძნულ გალობის მცოდნენი მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საგალობელს (ნოტებს) და ჩვენნი მხატვარნიც ხელნაწერის მინანქრიანი ასოებითა და იოვანე მტბევარ ეპისკოპოზის სურათით ისარგებლებენ.

მოსე ჯანაშვილი

---

*) ეს მთავარი ქართლისაჲ „წმ. აბოს ცხოვრებისა“ და „ქართლის ცხოვრების“ თქმით იყო ნერსე. „რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერის მთავარი იგი ქართლისა, სახელით ნერსე, ძე ადარნასე კურატპალატისა და ერისთავისა, მოწოდებულ იქმნა ქუეყნად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან, ჟამსა სარკინოზთასა, ამირა მუმლისა აბდილასაგან, რომელი იგი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადსა... შესმენითა ბოროტთა კაცთათა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე ერისთავი ამის ქართლისა და პყრობილ ჰყო იგი სამისა წლისა ჟამთა.... გამოიყვანა იგი მჭარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად ერისთაობით აქა ქუეყანადვე თჳსა.... აბო იყო ყრმა ჭაბუკ, ვითარ 18 წლის. ამან ინება წარმოსლვა თჳსი აქა ერისთავისა მის ნერსეს თანა და შეეყო იგი მსახურებად მისა.... და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხოვნდებოდა იგი ნერსე ერისთავისა თანა და სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისასა... იწყო ზედა-მიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა ჰსჯულისათა... და მრავალთაგან ჰსჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ.

შემდეგ ამისა აბოს ცხოვრებაში მოთხრობილია, თუ როგორ ნერსე ივლტო სარკინოზთა დევნისაგან ხაზარეთს და ჩერქეზეთს, იქიდგან აფხაზეთს და მერე ისევ ქართლს დაბრუნდა. აბო თავის ბატონს განუყრელად თან დასდევდა. ჩრდილოეთ კავკასიაში (ხაზარეთს) აბომ ქრისტიანობა მიიღო და ქრისტიანად დაბრუნდა ქართლს. შემდეგ ამისა სამი წლის განმავლობაში დიდად მოღვაწეობდა აბო. მერმე იგი დაიჭირეს სარკინოზთა და ავლაბრის ხიდთად, „ადგილსა, რომელსა ერქვა სადილეგო“, თავი მოჰკვეთეს და მერმე დასწვეს.

აბოს წამებამდე „ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესთა“ გაქრისტიანებულად ჰხადის ქართველებს ამ წმიდანის ცხოვრების აღმწერელი.

ლი და ძველის რომაელების ამფითეატრს წააგავდა თავისის ადგილ მდებარეობით. ბილეთები იაფად ღირდა. ღარიბებს ფასი არ ერთმეოდათ, რის გამოც დიდ-ძალი ღარიბი ხალხი დაესწრო წარმოდგენაზე. დიდის მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი: ოლგა ყიასაშვილისა და თაფლო მენთეშაშვილისა, რომელთაც სიამოვნებით მიიღეს წარმოდგენაში მონაწილეობა. მადლობისავე ღირსია მასწავლებელი ბ-ნი დ. ჯავაშვილი სუფლიორობისათვის.

შემოსავალი იყო 31 მან. და 70 კ., დაიხარჯა ზურნისა და სცენის მოწყობისათვის 6 მ. და 40 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 25 მ. და 30 კ.; აქედგან 15 მ. და 30 კ. გადაიდო ქვემო-მაჩხაანის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, დანარჩენი—10 მანათი—მომავალ სათეატრო დარბაზისათვის, რომელიც უნდა აშენდეს ფიცრისა, შუა-სოფელში, ეკკლესის მინდორზედ, თუ-კი ქიზიყის საზოგადოებაც ხელს მოგვიმართავს ნივთიერად და სახალხო დეპოც გვეღირსება ამ ერთს წელიწადში, რომ დეპომაც შემწეობა აღმოგვიჩინოს. თეატრის დარბაზში, თუ-კი გვეღირსება ოდესმე, მუდამ კვირა-უქმე დღეს იქმნება სახალხო ლექციები, წარმოდგენები და კონცერტები. თეატრის დარბაზშივე იქმნება გადმოტანილი წიგნთ-საცავიც. უეჭველია ამ კეთილს საქმეში დაგვეხმარება თვით ქვემო-მაჩხაანში მყოფი ბოქაული ბ-ნი გ. პაიჭაძეც თავისის კეთილის სიტყვით: მაშინ აღარავინ დაიშურებს იმის საბოქაულოში და ყველა ოჯახის შვილი შეგვეწევა თითო-ოროლა ფიცარსა, თუ გროშს. ეს მით უფრო სალოდნელია, რომ ბ-ნი გ. პაიჭაძე ერთი წელიწადი არც-კია რაც ჩვენში გადმოიყვანეს და ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრი კეთილი საქმე ჩააგონა ხალხს მამა-შვილურის რჩევა-დარიგებით: მოყრევინა სოფლელებს თავიანთ ტლაპოიან უბნებზე ქვიშა, აწმენდინებს სოფლებში უწმინდურებას, არ უალერსებს სხვებსავით სოფლის ქამია ვაჭრებისა და ბობოლების არ-კაცურს საქციელს და სცდილობს ქვემო-მაჩხაანის ბაზარი ფარნებით გაამშვენებინოს, წყლები გააკეთებინოს და სხვა. გარდა შეუძლებელისა შეუძლებელი არა არის-რა ქვეყანაზედ: სკოლა გვაქვს, წიგნთ-საცავი გვაქს და თუ ვეცდებით, უეჭველია, სახალხო დეპო და თეატრის დარბაზიც გვექმნება.

---

## დეპეშა

12 ივლისს

**პეტერბურგი.** გამოვიდა უმაღლესი ბრძანება რომელთაც მოსკოვისა და რეაზანის რკინის გზის საზოგადოებას ნება ეძლევა რკინის გზის გაყვანისა რიაზანიდამ ყაზანამდე, შტოკალომნიდამ სოფ. ოზერკამდე მდ. ოკას მარცხენა მხარეს, და პეროვოს სადგურიდამ მოსკოვის ქალაქის საყასბომდე და ამას იქით მდ. მოსკვას ნაპირამდე.

5 ივლისს ტომსკის ქალაქის საზოგადოებამ მეჯლისი გაუმართა მემკვიდრე ცესარევიჩს; 6 რიცხვს დილით ცესარევიჩმა დაათვალიერა წიგნთ-საცავის სადგომი და უნივერსიტეტის კოლექცია. უნივერსიტეტის დიდს დარბაზში ტომსკის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიართვა მემკვიდრე ცესარევიჩს უნივერსიტეტის საპატიო წევრობის დიპლომი. 1 საათზედ ცესარევიჩი გაემგზავრა გემით მდ. ობზე, საღამოს 10 საათზე; ცოტა ხანს ტობოლსკში დაჰყო და შემდეგ განაგრძო მოგზაურობა მდ. ირტიშით ომსკისაკენ.

გუშინ საფრანგეთის ელჩს ლაბულეს მეჯლისი ჰქონდა გამართული კრონშტადში მოსულ საფრანგეთის ესკადრას პატივსაცემლად. მეჯლისზედ დაესწრნენ: გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, ადმირალი ჟერვე, ამისი შტაბის უფროსი და მოსულ გემების უფროსები; მინისტრნი: ზღვათა, შინაგან საქმეთა, საფინანსო და გზათა; უცხო საქმეთა მინისტრის თანაშემწე, სულ 50 კაცამდე. მასპინძელმა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო დალია და საზოგადოებამ დიდის აღტაცებით მიიღო; ავგუსტოესმა გენერალ-ადმირალმა აღდეგრძელა პრეზიდენტი კარნო და სახელოვანი ესკადრა საფრანგეთისა. დღეს ლაბულე და საელჩოს მოხელენი გაემგზავრებიან გემით „ონეგა“ კრონშტადის რეიდზედ, სადაც ადმირალ ჟერვეს ვიზიტს გადაუხდის და ჯავშნიან ხომალდზედ „Marengo“-ზედ გამართული იქნება საუზმე,

**პარიჟი.** „ნოვოე ვრემია“-საგან ნაუწყების ხმის შესახებ, ვითომ Notre-Dame-ის ტაძრიდგან რუსეთის დროშები უნდა დაუბრუნონო. აქ არა იციან-რა.

**კრონშტადტი.** დღეს ერთმანეთს გადაუხადეს ვიზიტი საფრანგეთისა და რუსეთის გემების უფროსებმა. 11 საათზე გემით „ონეგა“-თი მოვიდა აქ საფრანგეთის ელჩი ლაბულე და დაათვალიერა საფრანგეთის ესკადრა. „Marengo“-ზედ ადმირალმა ჟერვემ მიიპატიჟა საუზმეზედ. დღეს საღამოს უფროსი ნავთ-სადგურისა ადმირალი შვარცი გაუმართავს სადილს საფრანგეთის ესკადრას.

**პარიჟი.** ყველა გაზეთები საფრანგეთის ესკადრის მისვლას კრონშტადში დიდს მნიშვნელობას აძლევენ. გაზეთი „Uoltaire“ ამბობს: „რაც უნდა ეცადნენ ამ ამბის მნიშნელობის შემცირებას, მაინც ამაოდ ჩაუვლიათ; ამ გვარის პატივის ცემით შეხვედრა ამტკიცებს ხოლმე დიდს მეგობრულს გრძნობას, და აკავშირებს იმ ორთა ხალხთ მეგობრულს გრძნობას, რომელთ ინტერესი არსად არ შეხვდებიან ერთმანეთს და რომელიც ერთგვარად იტანჯებიან ერთისა და იმავე თავმოყვარეობისა და უსამართლობისაგან“.

პეტერბურგის გაზეთების ცნობა შესახებ იმისა, რომ ევპატორიის დროშები, რომელიც პარიჟშია და იქიდამ უნდა დაუბრუნონ რუსეთს, მართალია, მაგრამ ადრეა გამოცხადებული.

### პეტერბურგის ბირჟა, 12 ივლისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 39 | 7, 42 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 142 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 05 | 1, 07 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 242¾ |
| —მეორისა . . . . | 230½ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212½ | — „ | 214¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამოასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.


# განცხადებანი

## რუსეთიდამ ჩამოვიდა

მცოდნე წისქვილების აგებისა და ჰინახულის დაფქვის სხვა-და-სხვა წესისა. მოწმობებიცა აქვს. მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ საქმეებისათვის. წასვლასაც თანახმაა. ადრესის შეტყობა „ივერიის“ რედაქციაში შეიძლება.

(2—97—2)

---

დაბა ახალ-სენაკს მაქვს კარგი

## სამალაზიო და სამოსახლო ადგილები

და ვსთხოვ მსურველთა, მომმართონ სასყიდლად ხსენებულის ადგილისა ყოველს დროს, როცა ენებოთ.

მცხოვრები ახალ-სენაკისა აზნაური ანდრონიკე სალაყაია.

(3—2)

---

## საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის
წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—1)

---

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი“

(LURBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპეკტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი მაშა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზანებათ.

(20—15)

---

## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
### ისყიდება
ახლად შედგენილი ვრცელი
## სამზარეულო
ქართული და ევროპიული საჭმელებისა.

წიგნი შეიცავს 636 გვ. 5—9 ფორმ. შიგ მოთავსებულია 871 სხვა-და-სხვა დარიგება საჭმელების მოსამზადებლად და ხორაგეულის შესანახად. ჩართულია ხაზებით ასო, ასო დაყოფილი ძროხის სურათი.

განყოფილებანი 1. წვნიანი საჭმელები, 2. სხვა-და-სხვა ნაირი საწებელა, 3. მწვანეულობა, 4. ხორცი ძროხისა, ხბოსი, ცხვრისა, ღორისა, ფრინველისა და სხვ. ცივად, შემწვარი და მოხრაკული, 5. თევზეულობა, 6. კუპატი და პაშტეტები, 7. პუდინგები, 8. ბლინები, ერბო-კვერცხი, ომლეტი, კვერცხები, 8. მაროჟნი, კრემი, ჟელეირი, ბლომანჟე, მუაკე ფაფა, კომპოტი, 9. ფაფეულობა, ხაჭაპურები, კაფლი და ბურბუშელა, 10. ტორტები, 11. სამარხვო საჭმელები, 12. პური, ბაბა ანუ პასკები, ბულკები, კულიჩები, სუხარი, კრენდელები და სხვ. 13. მურაბები, 14. ღვინო, ნალივკები, ვიშნიაკი, შიპოვკა და სხვ. სასმელები, 15. ძმარი, მდოგვი და სხვ. 16. რძე, ნაღები, მაწონი, კარაქი, ერბო, ყველი და სხვ. 17. ხილეულობის შენახვა, 18. მწვანეულობის შენახვა, 19. მწნილები, 20. ხორცის შენახვა.

## ფასი წიგნისა ექვსი აბაზი

წიგნები ისყიდება აგრეთვე ქართველთა ამხანაგობის აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათუმში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტ. ნოდია (წიგნის მაღაზია) ოზურგეთში—კოსტ. თავართქილაძე (წიგნ. მაღაზია) ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნ. მაღაზია) დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მარტვილში—ილია ჭიჭინაძე, ბაღდათში—ანდრ. შავათავა, ხაშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში—არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია) განჯაში—დიმ. ქლივიძე და იაკ. ნოდია და თელავში—მიხ. ცისკარაშვილი.


Дозв. ценз. Тифлисъ, 13-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე